



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №135

2013 წლის 23 აგვისტო  
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმართელობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნაზე;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა. კაკაბაძე);
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30);
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი